ზოგადსაგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო

01/08/2024

MES 5 24 0000933568

გადაწყვეტილება

სსიპ-ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 ნოემბრის N1537604 ოქმის მეექვსე ნაწილში ცვლილების შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. **შევიდეს ცვლილება13 ნოემბრის N1537604 ოქმის მეექვსე ნაწილში დ არედაქცია:**

„**მონიტორინგის დაწყების პერიოდი:** 2025 წლის ოქტომბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი), ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები.“

„სკოლის პირველ კორპუსთან დაკავშირებით საბჭომ 3.4, 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის ოქტომბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნებისა და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა. ასევე, სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უნდა წარმოადგინოს 3.1 და 3.3 კომპონენტით განსაზღვრული დოკუმენტაცია, კერძოდ, პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები, პერსონალის პირადი საქმეები სრულყოფილი სახით, მისიის დოკუმენტი, უზურნველყოს მეორე კორპუსის სრული რეაბილიტაცია და ასევე კვალიფიციური ექიმის აყვანა.“

ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„**მონიტორინგის დაწყების პერიოდი:** 2025 წლის ოქტომბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დოკუმენტების შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი), ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები.“

„სკოლის პირველ კორპუსთან დაკავშირებით საბჭომ 3.4, 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის ოქტომბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნებისა და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა. ასევე, სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უნდა წარმოადგინოს 3.1 და 3.3 კომპონენტით განსაზღვრული დოკუმენტაცია, კერძოდ, პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები, პერსონალის პირადი საქმეები სრულყოფილი სახით, მისიის დოკუმენტი, უზურნველყოს მეორე კორპუსის სრული რეაბილიტაცია და ასევე კვალიფიციური ექიმის აყვანა.“

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 1-ლი აგვისტოს N932465 სხდომის ოქმის მეშვიდე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით (შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. მეორე შესახვევი №2) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით (შემდეგ მისამართზე: დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა